



დანართი 2

ამონაწერი შეთანხმებიდან ევროპის კავშირსა და საქართველოს შორის
ვიზების გაცემის პროცედურის გამარტივების შესახებ.
ძალაშია 2011 წლის 1 მარტიდან

მუხლი 6 - მოსაკრებელი სავიზო განაცხადების განხილვისთვის

(1) საქართველოს მოქალაქეთა სავიზო განაცხადების განხილვის საფასური შეადგენს 35 ევროს.

აღნიშნული თანხა შესაძლებელია გადასინჯულ იქნას მე-14(4) მუხლით გათვალისწინებული პროცედურის შესაბამისად.
თუ საქართველო ხელახლა შემოიღებს სავიზო ვალდებულებას კავშირის მოქალაქეებისთვის, საქართველოს მიერ დაკისრებული სავიზო მოსაკრებელი არ უნდა აღემატებოდეს 35 ევროს ან იმ თანხას, რომელიც შეთანხმებულ იქნა 14(4) მუხლში მითითებული პროცედურის შესაბამისად მოსაკრებლის გადასინჯვის შემთხვევაში.

(2) როდესაც წევრი სახელმწიფოები თანამშრომლობენ მომსახურების გარეშე მიმწოდებელთან, დამატებითი მომსახურებისთვის შესაძლებელია დაწესდეს მოსაკრებელი. მომსახურების მოსაკრებელი პროპორციული უნდა იყოს მომსახურების გარეშე მიმწოდებლის მიერ თავისი მოვალეობების შესრულების პროცესში გაწეულ ხარჯებთან და არ უნდა აღემატებოდეს 30 ევროს. შესაბამისი წევრი სახელმწიფო(ები) უზრუნველყოფს შესაძლებლობას, რათა ყველა განმცხადებელმა განაცხადით მიმართოს უშუალოდ თავის საკონსულოს.

(3) სავიზო განაცხადის განხილვასთან დაკავშირებული მოსაკრებლის გადახდის ვალდებულებისგან თავისუფლებიან შემდეგი კატეგორიის პირები:

(a) პენსიონერები;

(b) ბავშვები, რომლებსაც ჯერ არ შესრულებიათ 12 წელი;

(c) სახელმწიფო და რეგიონული ხელისუფლების ორგანოთა, საკონსტიტუციო სასამართლოს და უზენაესი სასამართლოს წევრები, თუ ისინი არ არიან განთავისუფლებულნი სავიზო ვალდებულებისგან ამ შეთანხმების საფუძველზე;

(d) უნარშეზღუდული პირები და მათი თანმხლები პირები, საჭიროების შემთხვევაში;

(e) ახლო ნათესავები – მეუღლე, შვილები (ნაშვილების ჩათვლით), მშობლები (მეურვეების ჩათვლით), ბებია და ბაბუა, შვილიშვილები, რომლებიც სტუმრად ჩადიან წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე კანონიერად მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეებთან;

(f) ოფიციალურ დელეგაციათა წევრები, რომლებიც, საქართველოში გაგზავნილი



გერმანიის ფედერაციული
რესპუბლიკის საელჩო
თბილისი

ოფიციალური მიწვევის საფუძველზე, მონაწილეობას მიიღებენ შეხვედრებში, კონსულტაციებში, მოლაპარაკებებში ან გაცვლით პროგრამებში, ასევე ღონისძიებებში, რომლებიც ორგანიზებულია წევრ სახელმწიფოთა ტერიტორიაზე მთავრობათშორის ორგანიზაციების მიერ;

(გ) მოსწავლეები, სტუდენტები, ასპირანტები და თანმხლები მასწავლებლები, რომლებიც მიემგზავრებიან სწავლის ან სასწავლო ტრეინინგში, მათ შორის გაცვლითი პროგრამების ფარგლებში, ასევე სხვა სასკოლო საქმიანობაში მონაწილეობის მიზნით;

(h) ჟურნალისტები და სამსახურეობრივი სტატუსით მათი თანმხლები აკრედიტებული პირები;

(i) საერთაშორისო სპორტულ ღონისძიებებში მონაწილე პირები და სამსახურეობრივი სტატუსით მათი თანმხლები პირები;

(j) სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ის წარმომადგენლები, რომლებიც მიემგზავრებიან სასწავლო ტრეინინგებში, სემინარებში, კონფერენციებში მონაწილეობის მისაღებად, მათ შორის გაცვლითი პროგრამების ფარგლებში;

(k) პირები, რომლებიც მონაწილეობას იღებენ სამეცნიერო, კულტურულ და შემოქმედებით საქმიანობაში, მათ შორის საუნივერსიტეტო და სხვა გაცვლითი პროგრამების ფარგლებში;

(l) პირები, რომლებმაც წარმოადგინეს დოკუმენტაცია, რომელიც ადასტურებს მათი გამგზავრების აუცილებლობას ჰუმანიტარული მიზნებით, მათ შორის გადაუდებელი სამედიცინო მკურნალობის კურსის გავლის მიზნით, და ასეთი პირის თანმხლები პირი, ან ახლო ნათესავის დაკრძალვაზე დასწრების ან მძიმედ ავადმყოფი ახლო ნათესავის მონახულების მიზნით.